F 826 / 7294
ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

3 V 1991

№ 15 (20)

დავინახოთ თავნი ჩვენნი, შვილნო და ძმანო საყვარელნო, რომ კეთილს მორწმუნესა და ღვთისმოყვარეს კაცს ეს ამისთანა ადგილი და განსვენება მოელის, და ვაი, ჩვენი ბრალი, რომ თურმე ამ კეთილის საქმეებისაგან ღმერთი ნაკლებად გვხედავსო და უსჯულონი, და ურწმუნონი ჩვენის ცოდვისა და უსახოებისაგან გვერევიან, გვჩაგვრენ და გვმძლავრობენ, სიკვდილითაც, დატყვევებითაცა, აოხრებითაცა, წახდენითაცა; მუდამ ჩვენზედ კადნიერებენ, ლალობენ, და კიდევ უმეტესად გვემუქრებიან, თავს გვიქნევენ და გვაშინებენ!

ამისთვის გევედრებით, სულიერნო შვილნო, უნდა დაიჯეროთ და შეისმინოთ, რომელიც მომიხსენებია პირველად სარწმუნოება მართალი და ჭეშმარიტი, და მერმე კეთილი საქმე, რომ წელიწადში ერთხელ მაინც ალსარება და ზიარება არის და უნდა ელირსნეთ; ეგრეთვე მუდამ წირვისა და ლოცვის სიყვარული, და უფრო ნამეტანად, კვირასა და უქმესა; ეგრეთვე თქვენის ძმებისა და ქრისტეანე მეზობლების სიყვარული, შებრალება, და მოწყალება გქონდესთ, ეგრეთვე მდაბალი, მშვიდი, და მორჩილი თავისის მშობლებისა.

ეგრეთვე მოთმინებაც უნდა გვქონდეს, რომ ეს წუთისოფელი უმწუხაროსა და უგანსაცდელოს ძნელად დაადგებს კაცსა, რომ ერთი რამ მწუხარება არ მიაყენოს, ან სიგლახაკისა, სიმშილისა და დაობლებისა და ან მტრისა ვისგანმე შინაურისა და თუ უსჯულოსაგან მორევისა და გაოხრებისა!

მაგრამ ისევ ღვთის მადლობის მიცემისა და მოთმინების მეტი არა გაგვეწყობა რა. და თუ ამაებს ვერ მოვითმენთ და ღმერთს დავაყვედრებთ რასმე, ღმერთსაც მოვიმდურებთ და ჩვენს თავსაც ვავნებთ.

მინამ ამ წუთს სოფელს სცხოვრებს კაცი, თავისი თავი მცონარებასა და დაზარებას არ უნდა მისცეს თავის სახლეულსა, თუ შვილსა თუ სახლსა და მამულსა, სხვათა უცილებელად, უშფოთველად, უდრტვინველად და მიუმძლავრებელად, უნდა გაუძღვეს და მოუაროს სიმდაბლით, სიმშვიდით, სულგრძელობით, სიტკბოებით და დაწყნარებით; და ყოვლის შეძლებით, გარჯითა და შრომითა.

**ამბროსი ნეკრესელი ეპისკოპოსის ქადაგებიდან**
**(1728-1808)**



გაზეთის დღევანდელი ნომრის შემოსავალი გადაირიცხება სტიქიით დაზარალებულ ეკლესიათა აღდგენის ფონდში.



**მიწისძვრამ** დააქცია და დააზარალა საქართველოს კიდევ ერთი ნაწილი. დაინგრა სახლები, გაპარტახდა ის მცირედიც, რაც წლების მანძილზე შრომითა და ჯაფით მოიწია ქართველმა კაცმა, მაგრამ ახლა ერთ კონკრეტ-ულ სატკივარზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება — საჩხერის, ონისა და ამბროლაურის რაიონების დასახმარებლად ახლაც უთუოდ მრავალი ქვეყნიდან გამოიგზავნება ყველაფერი ის, რაც ასე სჭირდება ახლა აქაურ მოსახლეობას; თავადაც ჩამოვლენ, რომ მხარში დაუდგნენ დაზარალებულებს. ამ რთულსა და არეულ დროს აუცილებლად გვმართებს ჩვენი სახსრების, სხვათა შემოწირულობების იმგვარად განაწილების ორგანიზება, რომ არ დაირღვეს სამართლიანობა.

ხალხი დააბეჩავა და წელში გატეხა კომუნისტების მრავალწლიანმა უსინდისო თარეშმა. მათგან სამართლიანობას არავინ ელოდა, თანადგომაშიც მხოლოდ თვალთმაქცობას ხედავდნენ. ამიტომაც იყო, აჭარის, სვანეთისა თუ იმავე რაჭისთვის გამოგზავნილი დახმარების დიდი ნაწილი დაზარალებულთა გვერდის ავლით სხვებს რომ მოხმარდა, ხალხი გამწარდა, მაგრამ არ აღშფოთდა, არ აბობოქრდა.



ახლა სხვა განწყობაა ხალხში — მისივე არჩეული ხელისუფლებისა და მთავრობისგან ისინი ელიან ჭეშმარიტ მხარდაჭერას, სულგრძელობას და სამართლიანობას. დაუშვებელია, რომ მათ გაუცრუვდეთ რწმენა და გაუმტყუნდეთ იმედი.

ამ განსაცდელის ჟამს საკრებულოს თითოეულ წევრს, გამგებელს, პრეფექტს თუ დეპუტატს გაასკეცებული პასუხისმგებლობა ეკისრება, დიდი ტვირთი აწვება. ძნელია უცდომელად გაიარო რთული გზის თუნდაც მოკლე მონაკვეთი, მაგრამ დღეს სხვა გზა არ გვაქვს — გვეძლევა საშუალება დავამტკიცოთ, რომ სამშობლოს ხსნაა ჩვენი უპირველესი მიზანი და არა საკუთარი კეთილდღეობა და კომფორტი. სხვა გზა არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ რწმენის შებღალვას და იმედგაცრუებას ხალხი არავის აპატიებს.



**ძალიან** დიდი უბედურება დაგვემართა. ნახევარი ქვეყანა ჩამოგვექცა თავზე. არ შეიძლება, არ ვიფიქროთ — რით დავიმსახურეთ ღვთის რისხვა? თუ ეს მხოლოდ სტიქიაა, რომელსაც ვერც წინასწარ შეიცნობ და ვერც ვერანაირად აირიდებ, შეგუების და შერიგების გარდა რაღა დაგვრჩენია, მაგრამ ჩვენ ხომ გვწამს, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და არ დატოვებს ქალწული მარიამი საქართველოს თავისი კეთილი მფარველობის გარეშე. ჩვენ ხომ გვწამს, რომ ღმერთი დაგვიფარავს ყველა განსაცდელისაგან. ჩვენ ხომ გვწამს, რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია. თუ ამდენ სასოებას ველით უფლისგან, მისგან ჭირიც მადლად უნდა მივიღოთ.

სამართლიანია მისი ნება.

ახლა ჭირთათმენა და ჩაფიქრება გვმართებს.

ჩვენ, დღევანდელი ქართველები, ვართ ის ადამიანები. ის თაობები, რომელთაც დიდი მისია დაგვეკისრა — გამოვიყვანოთ ჩვენი ხატი, ჩვენი საფიცარი საქართველო უმძიმესი განსაცდელისგან. იმაზე, თუ როგორ მოვახერხებთ დღეს ჩვენ ამას, მთელი საქართველოს მომავალია დამოკიდებული. ვივარგებთ,. გაბრწყინდება საქართველო, ვერ ვივარგებთ და ნახევარი კი არა, მთელი ქვეყანა დაემხობა.•



ვგავდით ჩვენ იმ ხალხს, ვისზეც მთელი ქვეყნის ბედია



დამოკიდებული? ვგრძნობდით ამ პასუხისმგებლობას? ეტყობა, ჩვენს ყოფას, რომ საგანგებოდ გაჭირვებული ქვეყნის შვილები ვართ, ქვეყნის, რომელიც ფეხზე ჩვენი დასაყენებელია, ქვეყნის, რომელიც საუკუნეების მანძილზე მარტოდ მარტო, მხოლოდ საკუთარი რწმენის და სიყვარულის ამარა, შემწესა და მეოხის გარეშე უმკლავდებოდა ათას უბედურებას და უძნელესი ისტორიის მიუხედავად მე-20 საუკუნემდე შეულახავად მოიტანა თითქმის მთელი ტერიტორია. მოვიკელით რომელიმე რამე? ვთქვით ვინმემ უარი თუნდაც სულ მცირე სიამოვნებაზე? აჩნდა ჩვენს ცხოვრებას, რომ ჩვენს სამშობლოში ომია? თანაც რა ომი! ომი ქვეყანასთან, რომელსაც ჩვენზე ასჯერ დიდი სახელმწიფოებიც კი ვერ უბედავენ უბატონოდ ხმის გაცემას. ვამსახურეთ ჩვენი ცოდნა, უნარი, ნიჭი, სიმდიდრე მცირედად მაინც გამარჯვებას?

ვიღაცამ არც თავისი ქვეყნის სამსახური დაიშურა და ვიღაცამ სიცოცხლეც გასწირა მისთვის. რაღა ვიქნებოდით ასეთებიც რომ არ გვყოლოდა, მაგრამ ჩვენ? — ვინც წარბშეჭმუხნული ვსხედვართ ტელევიზორის წინ?

საქართველოში „რეგიონული“ კონფლიქტები და „რაიონული“ საზრუნავი არ არსებობს. თუ ყველგან. ყველაფერში ერთად არ ვიქენით, თუ ყველამ რაღაცა არ მოვიკელით, თუ არ შევიგნეთ, რომ მხოლოდ ჩვენს ხელშია ჩვენი ბედი და ერთადერთი გზა უბედურების თავიდან ასაცილებლად არის გზა თმობის, თავდავიწყების, განწმენდის, თავგანწირვის, რაც გადაგვრჩა, ისიც დაგვენგრევა.

დღეს ჩვენ ღმერთმა არ გაგვწირა. დაგვინდო. ეს უბედურება რომ ღამით მომხდარიყო, დავიქცეოდით. გაგვაფრთხილა, შეგვაჯანჯღარა, გაგვამწარა, ჩაგვაფიქრა, ჩვენი თავი დაგვანახა. მომავლის – გზა გაგვიხსნა. ახლა ყველაფერი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. დავიმსახურებთ მის წყალობას, გადავრჩებით, არა და სატირალიც აღარ ვიქნებით.





(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ისტორია ომების და ბრძოლის ისტორიაა. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ ეროვნულ გვარდიას საუკუნოვანი ისტორია და უმდიდრესი ტრადიციები აქვს. ახლა გვმართებს ყოველივე საუკეთესოს აღდგენა, ჩვენი წინაპრების უმაგალითო თავგანწირვისა და გმირობის გახსენება.**

**იმ ყმაწვილებს, ვისაც პატივი ერგოთ გვარდიელის სახელის ტარებისა, დიდი პასუხისმგებლობა დააწვა — მტრის მოძალების, ხულიერი შეპირუებების, განგების რისხვის ჟამს — ღირსეულად იწოდებოდნენ „საქართველოს მომავლის იმედად“.**







ლევან ურუშაძე

# გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე

**წინამდებარე** მცირე წერილი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწის, ქართული ეროვნული სამხედრო განათლების დიდი მოამაგის, გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის (1870-იანი წლების დამლევი — დაახლ. 1941 წ. ივნის-ივლისი) მოღვაწეობას.

„განსვენებული გენერალი ეკუთვნოდა გამოჩენილ ქართველთა რიცხვს და მან საქართველოსთვის ბევრი გააკეთა როგორც იქ, ჩვენს სამშობლოში, ისე მის შემდგომ, ემიგრანტული წლების მანძილზე.

ის იყო განსაკუთრებული სიმტკიცის ადამიანი, კრისტალური პატიოსნებისა... ამასთან ერთად მისი დამახასიათებელი თვისება იყო განსაკუთრებული კეთილშობილება, სიკეთე და თავისი თანამემამულეების ღრმა სიყვარული.

მასში გაერთიანებული იყო ძველი ტრადიციები და ქართული ბუნების საუკეთესო თვისებები იმ გვარად, რომ ის შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დავითის და ირაკლის ეპოქის, ისე დღევანდელი და ხვალინდელი საქართველოს მშვენებად.“ — ასე ახასიათებდა ალ. ჩხეიძეს როგორც ქართულ, ისე პოლონეთის არმიებში მისი უმცროსი თანამებრძოლი, ამ არმიათა ცნობილი ოფიცერი, აწ გარდაცვლილი დიმიტრი შალიკაშვილი (აშშ-ის არმიის სახელგანთქმული გენერლის მალხაზ (ჯონ) შალიკაშვილისა და ამავე არმიის გადამდგარი პოლკოვნიკის ოთარ შალიკაშვილის მამა).

ალექსანდრე ჩხეიძე ეკუთვნოდა იმერეთის წარჩინებულ თავადურ გვარს. იგი გახლდათ შორაპნის მაზრიდან (დღევანდელი ზესტაფონის რაიონიდან), დასრულებული ჰქონდა გიმნაზია და კადეტთა სასწავლებელი.

საბრძოლო ნათლობა ალ. ჩხეიძეს მანჯურიაში მიუღია (აქ გაუცვნია მას შემდგომში ცნობილი გენერალი, მოგვიანებით თავისი ცოლის ძმა გიორგი კვინიტაძე 1900 წელს). შემდეგ მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში. მოგვიანებით მსახურობდა კავკასიის ფრონტის შენაერთებში, იყო პირველი მსოფლიო ომის მონაწილე.

ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამდე კარგა ხნით ადრე იგი რუსეთის არმიის ერთ-ერთ სანიმუშო ოფიცრად ითვლებოდა. მკერდს უმშვენებდა რამდენიმე მაღალი საბრძოლო ჯილდო, მათ შორის წმ. გიორგის ჯვარი.

1917 წლის ოქტომბერში ალ. ჩხეიძე სამშობლოში დაბრუნდა და იმთავითვე აქტიურად ჩაება ქართული ეროვნული საჯარისო ნაწილების შედგენის საქმეში. მას, როგორც სამხედრო სკოლის პროექტის ავტორს, ქართული კორპუსის მეთაურმა პოლკოვნიკმა ახმეტელაშვილმა ნაცვალთა ათასეულის შედგენა და უფროსობა დაავალა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე ქართველ ოფიცერთა სამხედრო სკოლის (შემდგომში იუნკერთა სკოლად წოდებული სასწავლებლის) ხელახალი პროექტის საფუძველზე შექმნილი ეროვნული სამხედრო სკოლის პირველ უფროსად დაინიშნა გენერალი ბენაშვილი (ცნობილი გეოდეზისტი, მოგვიანებით თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი), მის მოადგილედ კი პოლკოვნიკი ალ. ჩხეიძე.

1919 წლის ზამთრის მიწურულსა და გაზაფხულზე სკოლა სომხეთ-საქართველოს ფრონტზე — სამხრეთ საქართველოში იქნა გადატანილი. მთელი ეტაპის საბრძოლო ხაზის უფროსობა ალექსანდრე ჩხეიძეს დაევალა. ეს გახლდათ პირველი საბრძოლო ოპერაციები, რომლებშიც თავი ისახელეს იუნკრებმა და მათმა მეთაურმა.

1920 წლის აპრილის დამლევიდან იმავე წლის ოქტომბრამდე პოლკ. ალ. ჩხეიძე ასრულებდა სკოლის უფროსის მოვალეობას. სწორედ ამ მონაკვეთში — ხსენებული წლის აპრილის დამლევს აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვრებს მოადგა საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკური წითელი არმიის სამი დივიზია.

მომხვდურებმა პირველყოვლისა სამხედრო სკოლის ხელთიგდება განიზრახეს და 1 მაისს ღამით მოახერხეს კიდეც მასზე თავდასხმა. „ამ ღამეს მან (ალ. ჩხეიძემ — ლ. უ.) უდიდესი სამსახური გაუწია თავის სამშობლოს. კომუნისტების გეგმის თანახმად, სამხედრო სკოლის დაცემა კომუნისტების საყოველთაო გამოსვლის ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომლის საშუალებითაც ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას საქართველოში. სამხედრო სკოლაზე თავდასხმის დამარცხებამ საბოლოოდ ჩაშალა კომუნისტების ბოროტი ზრახვები“ (დიმ. შალიკაშვილი).

ამის შემდეგ — 16 მაისს სკოლის ხელმძღვანელობამ მიიღო ბრძანება მთელი შემადგენლობის სადახლოში გადაყვანის შესახებ, სადაც ალ. ჩხეიძე დაინიშნა საარმიო დაჯგუფების სარდლად. მის განკარგულებაში სკოლის გარდა შედიოდა სამი პოლკი, ორი ბატარეა და ორი საკავალერიო ესკადრონი.

ივნისამდე ჩატარებული ბრწყინვალე საბრძოლო ოპერაციების შედეგად ქართული ეროვნული არმიის შენაერთებმა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სწორედ ალექსანდრე ჩხეიძის საარმიო დაჯგუფება გახლდათ, მიწასთან გაასწორა წითელ ოკუპანტთა ორი დივიზია. არმიის მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის ბრძანებით გადაწყდა ბაქომდე დადევნებოდნენ მტრის მესამე დივიზიასაც და გაენადგურებინათ იგი. მაგრამ, სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში შტაბმა მიიღო მთავრობის თავმჯდომარის ყოვლად გაუმართლებელი და გაუგებარი ბრძანება საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, რამაც სახტად დატოვა არმიის სარდლობის უდიდესი ნაწილი. საქართველოს ხელისუფლების ამ ბრძანებამ დაადასტურა რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობის და ნოე ჟორდანიას არა მარტო სტრატეგიული და ტაქტიკური, არამედ წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით სრული სიბეცე და უსუსურობა. უფრო მეტიც, — გაგანია ომის პირობებში საქართველოს დამფუძნებელი კრების მოსკოვში მყოფ წარმომადგენელს გრიგოლ ურატაძეს მიეცა მითითება საბჭოთა რუსეთთან საზავო (საზავო და არა რიგითი!) ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის შესახებ, რაც აღასრულეს კიდეც იმავე წლის 7 მაისს. ამით ლეგალური მოღვაწეობის უფლება მიეცათ რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმის ემისრებს საქართველოში.

სავსებით სამართლიანად მიუთითებდნენ როგორც გ. კვინიტაძე, ისე ალ. ჩხეიძე, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა დაჰკარგა არა 1921 წლის თებერვალ-მარტში, არამედ 1920 წლის გაზაფხულზე, რამეთუ, სწორედ ხელისუფლების ამ, სალ აზრს მოკლებულმა, გადაწყვეტილებებმა მყარი საფუძველი შეუქმნა 1921 წლის დამარცხებას.

1920 წლის ოქტომბერში სამხედრო სკოლის უფროსად დაინიშნა გენერალი ანდრონიკაშვილი. პოლკოვნიკი ალ. ჩხეიძე კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ დღეებამდე ასრულებდა სკოლის უფროსის მოადგილის მოვალეობას. სწორედ იმავე ხანებში რესპუბლიკის არმიის მთავარსარდლობიდან გადააყენეს გ. კვინიტაძეც. ამით სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ სამაგიერო გადაუხადა „ურჩ“ სარდლებს რუსეთ-საქართველოს პირველ ომში გამოჩენილი „თვითნებობისათვის“. აქვე უნდა აღინიშნოს მთავრობის კიდევ ერთი დიდი შეცდომა — ნ. ჟორდანიას და არმიის ახალი ხელმძღვანელობის ბრძანებით მოხდა სრული დემობილიზაცია, რის შედეგად არმია ხელახლა შეივსო სამხედრო საქმეში ყოვლად გამოუცდელი ახალგაზრდობით. ისეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ახალი „სიურპრიზი“ საბჭოთა რუსეთის მხრიდან, არმიის სრული დემობილიზაციის გამოცხადება ყოვლად უპატიებელი გახლდათ.

იუნკერთა სკოლამ 1921 წლის თებერვლის ბრძოლებში აქტიური მონაწილეობით კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი შემატა ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიას. ალექსანდრე ჩხეიძის გამჭრიახმა მოქმედებამ და პირადმა თავდადებამ, სკოლის მთელი პირადი შემადგენლობის თავგანწირვამ ჭეშმარიტ გმირთა სახელი დაუმკვიდრა ქართველ იუნკრებს. სწორედ ალ. ჩხეიძე ხელმძღვანელობდა იუნკერთა და ნაცვალთა ნაწილებს ტაბახმელასთან.

1921 წლის 19-21 თებერვალი საქართველოს უახლეს ისტორიაში მუდამ დარჩება, როგორც ბრწყინვალე გამარჯვებათა [illegible] დღე, როგორც თავდადებისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირვის სწორუპოვარი მაგალითი!

ამ ბრძოლებში მამასთან ერთად თავი ისახელეს სახელოვანი მხედართმთავრის ვაჟებმა — გრიგოლ (გოგა) და დავით (დუდა) ჩხეიძეებმა, შესანიშნავმა იუნკრებმა.

საოცრად დიდი სულიერი ტკივილის ფასად დატოვეს ქართველმა იუნკრებმა და მათმა ლეგენდადქცეულმა მეთაურმა გაუბედურებული, საბჭოთა ურჩხულის ტორის ქვეშ მოქცეული საქართველო.

ჩხეიძეებმა ჯერ ოსმალეთს მიაშურეს, შემდეგ კი გამოჩენილი პოლონელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის, მარშალ პილსუდსკის მიწვევით ისინი სკოლის შემადგენლობის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად პოლონეთში გადავიდნენ.

სახელოვან ქართველ პოლკოვნიკს უმალ შესთავაზეს შენაერთის მეთაურობა, მაგრამ მან, მიუხედავად ასაკისა (იგი იმხანად 42-43 წლისა გახლდათ), ისურვა იქაური უმაღლესი სამხედრო აკადემიის დასრულება. 1923 წელს მან დაამთავრა პოლონეთის გენშტაბის უმაღლესი აკადემია და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იქნა მივლინებული ქ. გრუდენზში, პოლონეთის საკავალერიო ჯარის წვრთნის ცენტრში.

აღსანიშნავია მისი ვაჟების წარმატებებიც. როგორც დავითმა (1902-1939), ისე მისმა ტყუპისცალმა გრიგოლმა (1902-1927) წარმატებით დაასრულეს ვარშავის უმაღლესი საკავალერიო სასწავლებელი.

გრიგოლი პოზნანის მე-2 ულანთა პოლკის როტმისტრად მსახურობდა და სრულიად ახალგაზრდა ბრმა შემთხვევას ემსხვერპლა 1927 წელს. დაკრძალულია პოზნანში.

დავით ჩხეიძე კი გახლდათ ჟულკევის მე-6 ულანთა პოლკის როტმისტრი. პოლონეთის არმიაში სამსახურის 16 წლის მანძილზე მიღებული ჰქონდა რამდენიმე მაღალი სამხედრო ჯილდო. ბოლოს მისი პოლკი იმ შენაერთის შემადგენლობაში შედიოდა, რომლის ინსპექტორიც მამამისი იყო. პოლკი ლვოვში იდგა. სწორედ ამ ქალაქის საბჭოთა საოკუპაციო ჯარის შემოტევებისგან დაცვას შეეწირა იგი 1939 წლის ოქტომბერში. განისვენებს ლვოვის გარეუბანში.

1920-იანი წლების დამლევს ალ. ჩხეიძე გადაიყვანეს პოზნანის ფეხოსანთა დივიზიის უფროსად, სადაც დაჰყო თადარიგში გასვლამდე (მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე). არმიისთვის არც ამის შემდეგ დაუნებებია თავი — ომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე, მისივე თხოვნით, იგი დანიშნეს ლვოვში განლაგებული მსხვილი შენაერთის ინსტრუქტორად.

პოლონეთის მთელს არმიაში უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ალექსანდრე ჩხეიძე, როგორც სამხედრო საქმის ბრწყინვალე სპეციალისტი და უმაღლესი პიროვნული ღირსებებით დაჯილდოებული ადამიანი. დასტურად ამისა საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ 1930-იანი წლების დამდეგიდან იგი უცხოეთის არმიის გენერლის მაღალ წოდებას ატარებდა. მასვე ჰქონდა მიღებული ქვეყნის რამდენიმე უმაღლესი საბრძოლო ორდენი.

გენერალ ჩხეიძეს, მის მოღვაწეობას დიდად აფასებდა პოლონეთის არმიის მთავარსარდლობა და პირადად მარშალი პილსუდსკი, რომელიც ჩვენს თანამემამულეს თავის ერთ-ერთ უახლოეს მეგობრად თვლიდა.

როგორც აღინიშნა, 30-იანი წლების დამლევს ალ. ჩხეიძე თავისივე თხოვნით ლვოვში მიავლინეს, სადაც მას ვაჟი ეგულებოდა. იგი დაინიშნა სწორედ იმ შენაერთის ინსტრუქტორად, რომლის შემადგენლობაში შედიოდა დავით ჩხეიძის ულანთა პოლკი.

როგორც ცნობილია, გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების თანახმად, 1939 წლის დამლევს ლვოვი (ისევე როგორც დას. უკრაინა და ბალტიისპირეთი) საბჭოთა მხარეს დაეთმო. ხსენებული წლის 22 ოქტომბერს იგი წითელმა ჯარმა დაიკავა.

უთანასწორო ბრძოლების შემდეგ ოკუპანტებმა გასტეხეს ქალაქის დამცველთა მედგარი წინააღმდეგობა და დაიკავეს იგი. გენ. ალ. ჩხეიძე, შენაერთის მთელი ხელმძღვანელობა და პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი ტყვედ იგდეს.

მონაცემების ერთი ნაწილის მიხედვით, ალ. ჩხეიძე გერმანელების შემოტევების დროს, საბჭოთა ჯარების უკანდახევისას გზაზე გამოასალმეს სიცოცხლეს. ეს უნდა მომხდარიყო 1941 წლის ივნის-ივლისში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი პოლონეთის არმიის სხვა გენერლებისა და რეზერვის მაღალი ჩინის ოფიცრებთან ერთად კატინის ცნობილ ამბებს ემსხვერპლა.

არსებობს განსხვავებული აზრიც. დიმ. შალიკაშვილი აღნიშნავს, რომ ქართველი გენერალი 1940 წელს მოხვდა კიევის ციხეში და იქვე ხვდა წილად მოწამეობრივი სიკვდილი, რაც, ჩვენის აზრით, ნაკლებად სარწმუნოა. იმედია, სათანადო საარქივო მასალების ხელმიწვდომით კვლევა საშუალებას მოგვცემს ალ. ჩხეიძის დაღუპვის ზუსტი დროისა და ადგილის დადგენისა.

აღსანიშნავია ალექსანდრე ჩხეიძის დაუღალავი მოღვაწეობა ქართველ ემიგრანტთა შორის. იგი იყო ყოფილ ქართველ მხედართა კავშირის (პარიზი) გამგეობის წევრი. ქართული სამხედრო სკოლის ყოფილ იუნკერთაგან მან 1928 წელს შექმნა პატრიოტული ორგანიზაცია „ქართველ იუნკერთა კავშირი“, რომლის საპატიო თავმჯდომარედ თავად ითვლებოდა. ამ კავშირმა, რომელიც პარიზში, გამომცემლობა „საქართველო“-ში ჟურნალ „მხედარს“ გამოსცემდა (ჟურნალი გამოდიოდა 1929-1938 წლებში), უდიდესი როლი შეასრულა ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის ამსახველი მასალების შეგროვებასა და მათი შესწავლის საქმეში. ხსენებულ ჟურნალში დაიბეჭდა ალ. ჩხეიძის რამდენიმე საყურადღებო მოგონება.

ბედმა დიდი ტანჯვა-წამება არგუნა წილად გენერლის მეუღლეს, ქალბატონ სოფიო კვინიტაძეს, რომელიც ყაზახეთში გადასახლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც ნათესავები ეგულებოდა, მაგრამ ქმარ-შვილის დამკარგავს დიდხანს არ უცოცხლია.

ვასრულებთ რა თხრობას, აქვე თავს უფლებას ვაძლევთ გამოვთქვათ სურვილი, რომ მომავალ ქართულ ეროვნულ სამხედრო სასწავლებელს ეწოდოს დიდი ქართველი მამულიშვილის გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის — ქართული სამხედრო განათლების დიდი მოამაგის სახელი.

**სურათზე: მარჯვნიდან მარცხნივ: დავით (დუდა) ჩხეიძე, პ. თაყაიშვილი, ვ. უგრეხელიძე, მაიორი კვალიაშვილი, გენერალი ალ. ჩხეიძე, მაიორი ვ. ლალიძე, მაიორი კოტეტიშვილი, ალ. ალავიძე, პოზნანი, 1940-იანი წლების შუა ხანები.**



რედაქტორი მარიკა აბაიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-81-57

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29

ინდექსი 66421

ფასი 50 კაპ.